ხელშეკრულება №63

ქ.გორი 8 აგვისტო 2015 წ.

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის წესის მე–3 მუხლის 1 პუნქტის (ა) ქვეპუნქტის თანახმად, ერთის მხრივ (შემდგომში შემსყიდველი) გორის,კასპის,ქარელის,ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ზურაბ რუსიშვილის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში შემსრულებელი) ი.მ ,,ბაქარ ოქროპირიძე" მისი მენეჯერის მურაზ ღოლეჯაშვილის სახით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტბსა და ქალაქ გორის მუნციპალიტეტში გუბერნატორის ადმინისტაციას ი.მ ,,ბაქარ ოქროპირიძე"–მ გაუწიოს სარესტორნე მომსახურება (CPV 553).

2.1 სარესტორნე მომსახურება 751.00 (შვიდას ორმოცდათერთმეტი) ლარი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 751.00 (შვიდას ორმოცდათერთმეტი) ლარით.

4. მიღება ჩაბარების წესი

4.1 მისაწოდებელი საქონლელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 გასაწევი მომსახურების (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული გაწეული მომსახურების წუნდების მიზეზების მითითებით.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

6.1 ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში გაწეული მომსახურების საერთო ღირებულების შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ მოთხოვნილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

8.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.

8.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

8.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 8 ივნისიდან 2015 წლის 30 სექტემბრამდე.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 შემსყიდველმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
13.2. შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.
12.3. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს შემსრულებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მრლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაცის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.
13.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
13.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს

შემსყიდველი: გორის,კასპის,ქარელის,ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია.

ქ.გორი, სტალინის გამზ.16

საქართველოს სახელმწიფო ხაზინა

ანგ: #GE24NB0330100200165022 , კოდი: #TRESGE22

საიდენტიფ.კოდი: #217889514

სახელმწიფო რწმუნებული–გუბერნატორი

ზ.რუსიშვილი _____

მიმწოდებელი: ი.მ ,, ბაქარ ოქროპირიძე"

ქ.გორი ცხინვალის გზატ: #7 – ე კილომეტრი

ს/ს პროკრედიტ ბანკი

ანგ: # GE69PC0143600100020021

კოდი: # MIB66E22

საიდენტიფ.კოდი: # 59001018559

დირექტორის მინდობილი პირი

მ. ღოლეჯაშვილი _____

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ.გორი 8 აგვისტო 2015 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გორის,კასპის,ქარელის,ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ ხელშეკრულება #63 ი.მ. ,,ბაქარ ოქროპირიძე"–თან ,გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გორის,კასპის,ქარელის,ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.

_____ *ზ. რუსიშვილი*

მიღება– ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი:

გორის,კასპის,ქარელის,ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატის უფროსი სპეციალისტი.

_____ *გ.იაკობაშვილი*